



მონიტორინგის ანგარიში № 1

აუდიტის ანგარიშის №:	1
თარიღი:	10/11/2019 -11/11/2019
ორგანიზაციის დასახელება:	შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER“
მონიტორინგის ჯგუფი:	ირაკლი სირაბიძე, მერაბ გოგიტიძე, ნინო ასათიანი, ინგა აშმეიბა
აუდიტის მოცულობა: 10/09/2019	10:00 – 18:00
აუდიტის მოცულობა: 11/09/2019	10:00 – 18:00

1. შესავალი:

ჯგუფის ხელმძღვანელმა შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER“-ის დირექტორს კახა კახაილიშის, გააცნო მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა, დღის წესრიგი და მონიტორინგის მიზანი, კერძოდ, სააგენტოსა და „BLACK SEA SHIPPING REGISTER“ შორის დადებული ხელშეკრულების, 6.7 პუნქტის შესაბამისად, პირველი 3 თვიანი შემოწმების ჩატარება.

შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER“ ახორციელებს შიდა ნაოსნობაში ჩართული (ნაპირიდან 12 საზღვაო მილის ფარგლებში) მცურავი საშუალებების ტექნიკურ ზედამხედველობას.

2. მონაწილეები:

შპს „BLACK SEA SHIPPING REGISTER“ -ის დირექტორი კახა კახაილაიში;
დამილ გედენიძე - სურვეერი;



3. შედეგები:

მონიტორინგის ჯგუფმა გადაამოწმა სააგენტოს მიერ ბოლო აუდიტის დროს დაფიქსირებული აღმოფხვრის მიზნით გატარებული მაკორექტირებელი ქმედებები. დაადგინა, რომ ნაწილობრივ აღმოფხვრილია შემდეგი შეუსაბამობები. კერძოდ:

1. ორგანიზაციას არ ჰყავს ერთი ან მეტი დასახელებული პირი, რომელიც პასუხისმგებელი რომელიმე ტექნიკური მენეჯერის არ ყოფნის დროს შეასრულებს წარმომადგენლის როლს შემოწმებაზე (შემოწმების კითხვარი -1.1.5).
 - N04 (25.01.2018) შიდა ბრძანებით, დაინიშნა ზაზა თოლორდავა - რადიო სურვეერის პოზიციაზე.
 - N 09 ბრძანება (17.05.2019) შიდა ბრძანებით, დაინიშნა ვაჟა გოგუაძე - კორპუსის სურვეერის პოზიციაზე.
2. საკლასიფიკაციო საზოგადოებას ჯერ-ჯერობით არ აქვს ჩამოყალიბებული მიუკერძოებლობის საკითხი (შემოწმების კითხვარი - 1.2.1).
 - მიკერძოების საკითხი განსაზღვრულია ფორმით Qu-F-017
მაგ: სურვეერის - დამილი გედენიძის მიერ ხელმოწერით დადასტურებული 17.08.2018.
3. საკლასიფიკაციო საზოგადოების ხელმძღვანელობას არ აქვს განსაზღვრული მიუკერძოებლობის ვალდებულება (შემოწმების კითხვარი - 1.2.5).
 - მიუკერძოებლობის ვალდებულება განსაზღვრულია ფორმით Qu-F-017, რომელიც განთავსებულია თანამშრომელთა პირად საქმეში.
4. არ არის წარმოდგენილი საკლასიფიკაციო საზოგადოება არის თუ არა, დამოუკიდებელი იმ პირობების გათვალისწინებით, რომლითაც ის ეწევა საკუთარ მომსახურებას (შემოწმების კითხვარი - 1.2.6) .
 - შემუშავებულია დოკუმენტი N001/2 (ივლისი, 2018 წლის)
5. დამოუკიდებლობის საკითხი და ეთიკის (ქცევის) კოდექსი არ არის შემუშავებული (შემოწმების კითხვარი - 1.2.7.) .
 - შემუშავებულია დოკუმენტით N001/2-თან ერთვის თანამშრომელთა მიერ ხელმოწერილი გაცნობის ფურცელი.